

სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე
ასოცირებული პროფესორების სამსახურში მისაღებად რექტორის 2020 წლის 3 ივლისის
ბრძანება №124/01-01 საფუძველზე ინტერდისციპლინური (მათემატიკა, კომპიუტერული
მეცნიერებები) „რიცხვითი ანალიზის და გამოთვლითი ტექნოლოგიების“ კათედრაზე
გამოცხადებული კონკურსის ჩატარების უზრუნველსაყოფად უნივერსიტეტის აკადემიური
საბჭოს 2020 წლის 9 ივლისის № 59/2020 დადგენილების 8 პუნქტის საფუძველზე
დამტკიცებული კომისიის სხდომის

შემაჯამებელი ოქმი

ქ. თბილისი

29 აგვისტო, 2020 წ.

14:00

2020 წლის 29 აგვისტოს 14 საათზე თსუ მე-11 კორპუსის 319 აუდიტორიაში ჩატარდა
საკონკურსო კომისიის სხდომა.

სხდომას ესწრებოდა კომისიის ექვსივე წევრი: 1. ასოცირებული პროფესორი ჯემალ როგავა
(კომისიის თავმჯდომარე); 2. ასოცირებული პროფესორი - ნათელა არჩვაძე (კომისიის
თავმჯდომარის მოადგილე) 3. ასოცირებული პროფესორი ირინა ხუციშვილი; 4.
ასოცირებული პროფესორი მარიამ ბერიაშვილი; 5. პროფესორი ბესიკ დუნდუა; 6.
ასოცირებული პროფესორი ქეთევან შავგულიძე (კომისიის მდივანი).

დღის წესრიგი:

1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და
საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ინტერდისციპლინურ (მათემატიკა,
კომპიუტერული მეცნიერებები) „რიცხვითი ანალიზის და გამოთვლითი
ტექნოლოგიების“ (1 ადგილი) კათედრის ასოცირებული პროფესორის ვაკანსიაზე
გამოცხადებულ კონკურსში შეფასების პირველი და მე-2 ეტაპების შედეგების განხილვა
და კონკურსის გამარჯვებულის გამოვლენის მიზნით გადაწყვეტილების მიღება.
2. კონკურსის შედეგების ამსახველი შემაჯამებელი ოქმის უნივერსიტეტის აკადემიური
საბჭოსთვის დასამტკიცებლად გადაცემა.

მოსმინეს: კომისიის თავმჯდომარის ჯემალ როგავას ინფორმაცია საკონკურსო კომისიის მიერ
ორივე ეტაპის შედეგების განხილვის საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილებებისა და
კონკურსის შედეგების შეჯამების შესახებ. მან აღნიშნა, რომ საკონკურსო დოკუმენტაციის
მიმღებმა აპარატმა, კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის შიდა რეგულაციებით დადგენილი
წესით, კომისიას გადმოსცა კონკურსში მონაწილეობის მსურველ პირთა შემოტანილი საკონ-
კურსო დოკუმენტაცია დალუქული სახით. საკონკურსო დოკუმენტაციის ლუქებისა და შეფუ-
თვის სიმთელე დარღვეული არ იყო. კონკურსანტების შეფასება მოხდა 2 ეტაპად.

საკითხი 1.

„რიცხვითი ანალიზის და გამოთვლითი ტექნოლოგიების“ კათედრის კონკურსანტი თინათინ
დავითაშვილი

მოისმინეს: კომისიის თავმჯდომარის ჯემალ როგავას ინფორმაცია. მან მიმოიხილა კონკურსანტის დოკუმენტაცია და გასაუბრების შედეგები.

შეფასების I კატეგორია: კონკურსანტის თინათინ დავითაშვილის განათლება აკადემიური/-სამეცნიერო ხარისხი, სამსახურეობრივი გამოცდილება და პედაგოგიური სტაჟი ვაკანსიის პროფილის შესაბამისია და აკმაყოფილებს მოთხოვნებს.

შეფასების II კატეგორიაში- გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან, კონკურსანტმა ერთხმად მიიღო შეფასება-მაღალი, რადგან კონკურსანტის პედაგოგიური გამოცდილება, სტაჟი, სასწავლო-მეთოდური საქმიანობა, მის მიერ წასაკითხად შემოთავაზებული და წაკითხული კურსები ვაკანსიის პროფილის შესაბამისია; წარმოდგენილი სილაბუსების შინაარსი და ფორმა სრულად შეესაბამება თსუ-ში დადგენილ მოთხოვნებს.

შეფასების III კატეგორიაში-კონკურსანტმა ერთხმად მიიღო შეფასება -მაღალი, სტატია იმპაქტ-ფაქტორიან ჟურნალში-3, სხვა მნიშვნელოვანი სტატიები-21; ციტირების ინდექსი - h - ინდექსი - 4, g-ინდექსი-10; მოხსენებები საერთაშორისო კონფერენციებზე-14; კომისიისთვის შესაფასებლად წარმოდგენილი სამეცნიერო სტატია შესრულებულია მაღალ დონეზე და შესაბამისობაშია დარგთან; სამოტივაციო წერილში გამოთქმულია სურვილი, რომ მან გააგრძელოს პედაგოგიური და სამეცნიერო საქმიანობა.

შეფასების IV კატეგორიაში-კონკურსანტმა ერთხმად მიიღო შეფასება -მაღალი, წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე იკვეთება, რომ კონკურსანტს აქვს მაღალი საუნივერსიტეტო, სასწავლო და საზოგადოებრივი აქტივობები.

კომისიამ პრეტენდენტს მიანიჭა პრეტენდენტის სტატუსი და პრეტენდენტი გადავიდა შეფასების მეორე ეტაპზე-გასაუბრებაზე.

გასაუბრების შედეგად დადასტურდა, რომ პრეტენდენტი სამუშაო გამოცდილებით და პროფესიული უნარ-ჩვევებით შეესაბამება საკონკურსო თანამდებობას.

მოქმედი დებულების თანახმად ჩატარდა ფარული კენჭისყრა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო კომისიის 6 წევრმა.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე-6, წინააღმდეგი-0.


დაადგინეს: ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ინტერდისციპლინურ (მათემატიკა, კომპიუტერული მეცნიერებები) „რიცხვითი ანალიზის და გამოთვლითი ტექნოლოგიების“ კათედრის ასოცირებული პროფესორის დასაკავებელი კონკურსის გამარჯვებულად გამოვლინდა: თინათინ დავითაშვილი.

საკითხი 2. კომისიამ იმსჯელა და უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ №118/2014 დადგენილებით დამტკიცებული აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების წესის თანახმად ერთხმად






დაადგინა: შემაჯამებელი ოქმი დასამტკიცებლად გადაეცეს უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს.

კომისიის წევრების ხელმოწერა

კომისიის თავმჯდომარე: ასოც. პროფესორი ჯემალ როგავა



კომისიის წევრები:

1. ასოცირებული პროფესორი - ნათელა არჩვაძე (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე) 
2. ასოცირებული პროფესორი ირინა ხუციშვილი 
3. ასოცირებული პროფესორი მარიამ ბერიაშვილი 
4. პროფესორი ბესიკ დუნდუა 
5. ასოცირებული პროფესორი ქეთევან შავგულიძე (კომისიის მდივანი) 

თარიღი 29.08.2020

